

გამონათქვამი კინოსა და პერფორმანსისთვის მეთიუ ბარნის სახელით

გიორგი რაზმაძე

საკვანძო სიტყვები: პერფორმანსი, რენაქტმენტი, პერფორმანსის დოკუმენტაცია, „კრემასტერის ციკლი“

ამერიკელი არტისტი მეთიუ ბარნი თავიდან მხატვარი და პერფორმერი იყო, თუმცა მალევე ვიდეოარტის მედიუმში გადაინაცვლა. ეს ტრანზიქცია არ იყო რომელიმე დარგთან გამომშვიდობება. ბარნი ინსტალაციებსა თუ პერფორმანსებს უბრალოდ რეალურ დროსა და სივრცეში კი აღარ ქმნიდა, არამედ ვიდეოს/კინოს გარემოში. ის ამ საქმიანობაში პირველი არ იყო, მაგრამ მისი შემოქმედების მასშტაბურობამ და ინტენსივობამ ვიზუალურ ხელოვნებაში უმნიშვნელოვანესი საკითხი წამოჭრა – უპირველეს ყოვლისა, კინოს, ვიზუალური ხელოვნებისა და პერფორმანსის საზღვრების, მამასადამე, თანამედროვე კონტექსტში ამ მედიუმების გადააზრების პრობლემა.

მეთიუ ბარნის „კრემასტერის“ ციკლი მეგა პერფორმანსია, რომელიც არსებობს და მოქმედებს მხოლოდ ვიდეოარტის გარემოში. მისი შემდგომი პროექტებიც ხელოვნების საზღვრების დადგენას ეძღვნება. ამ დროისთვის ბოლო ნამუშევარი „რედუტი“ (2019), წინა ნამუშევრებისგან განსხვავებით, კინოსთან მეტად მიახლოებულია და არანარატიული კინოს დეფინიციის ქვეშ ექცევა, რომელშიც პერფორმანსიც სუფთა სახით აღარ გვხვდება. დიანასა და აქტონის მითზე დაფუძნებული ფილმი გამოწვევაა როგორც კინოს ახალი შესაძლებლობების გააზრების კუთხით, აგრეთვე პერფორმანსის, ქორეოგრაფიის, მხატვრობისა და ინსტალაციის რემედიაციის გზების კვლევის თვალსაზრისითაც.

პერფორმანსის ხელოვნება 1960-იანი წლების ბოლოდან ხელახლა იზადება, თუმცა უკვე, როგორც ხელოვნების დამოუკიდებელი მიმართულება. პერფორმანსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წარმომადგენელი და ფუძემდებელი კრის ბორდენი (Chris Burden) იყო, რომელმაც თანამედროვე პერფორმანსის მთავარი წესები საბაკალავრო ნაშრომში „5 დღე კარადაში“ (Five Day Locker Piece, 1971) განსაზღვრა. ბორდენმა კალიფორნიის უნივერსიტეტის ერთ-ერთ კარადაში გამოკეტა 5 დღე და ჰყო. ეს აქცია ძალიან ჰგავდა ჰარი ჰუდინის ტრიუკებს, რომელიც დადაისტებისა და სიურრეალისტების საყვარელი პერსონაჟი იყო. ჯადოქრობის სეკულარული ვერსია, მათ შორის, სხეულის გამოცდაზე დამყარებული, პოპულარული ხდება ჰეფენინგის (Happening) არტისტებისთვისაც. ჰარი ჰუდინი მედიის ფიგურასთანაც შეგვიძლია დავაკავშიროთ. იგი ისეთ სიმბოლურ მნიშვნელობას ირგებს სიტუაციურ ხელოვნებაში, როგორც „კინოს ჯადოქარს“ უკავია მოძრავი გამოსახულების ისტორიაში.

ვიზუალურ ხელოვნებაში, მოქმედებაში დამალული ჯადოსნობით ბევრი ხელოვანი დაინტერესებულა, თუმცა კინოში ლაივ პერფორმანსის, პერფორმანსში კი კინოს ინტეგრირებით, ამერიკელი არტისტი მეთიუ ბარნი (Matthew Barney) იწყებს საქმიანობას, რომელიც დღეს მოღვაწე პერფორმანსისტებში, – ანდა სჯობს, დავამკვიდროთ სიტყვა პერფორმერი (სამწუხაროდ, ქართულ ლიტერატურულ წყაროებში ეს საკითხი ბოლომდე ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი), – ყველაზე მიმზიდველი აქციების მომწყობ ხელოვანად შეგვიძლია ჩავთვალოთ.

მეგაპროექტებისა და გახმაურებული აქციების წყალობით, უფრო მეტად კი, კინოს დამსახურებითა და პოპულარულ ბიორკთან (Bjork) ურთიერთობის შემდეგ მეთიუ ბარნის სახელს ბევრი იგებს, თუმცა ის მაინც არ მიეკუთვნება ზაჰა ჰადიდის (Zahā Hadīd) თუ ფრენკ გერის (Frank Gehry) მსგავს პოპულარულ კონტრავერსულ ფაქტობით, აუდიტორიასთან დაუძლეველი ბარიერების გამო მუდმივად დისტანციაზე იმყოფება. მისი კლასიფიკაცია შეუძლებელია,

თუმცა კასელის „დოკუმენტადან“ მოყოლებული, ვენეციის ბიენალეს ჩათვლით, ყველგან ცენტრალურ არტისტად განიხილება.

მეთუ ბარნი დაიბადა სან-ფრანცისკოში, კალიფორნიის შტატში, 1967 წელს. თამაშობდა ამერიკულ ფეხბურთს, მალევე გახდა პროფესიონალი სპორტსმენი. 1985 წელს, როგორც იმედისმომცემ ფეხბურთელს, სპეციალური კვოტებით, იელის უნივერსიტეტში ჩაბარება შესთავაზეს. სწავლა სამედიცინო მიმართულებით, კერძოდ, პლასტიკური ქირურგიის განხრით, უნდოდა. მაგრამ უკვე ჩაბარების დროს, გადაწყვეტილებას ცვლის და ხელოვნების ფაკულტეტზე ირიცხება. სწავლის დასრულების შემდეგ ცოტა ხნით პროფესიონალი მოდელიც ხდება. ყველაფერი მის შემოქმედებით ინტერესებზე მეტყველებს – ცხოვრებას სხეულის გამოკვლევას უძღვნის: სხეულის გაუჯობების, ლიმიტებისა და საზღვრების განსაზღვრის იდეას. რადგან მომდევნო წლებში აქციონერი და პერფორმერი ხდება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადამიანის სხეულში ხელოვნებას ხედავს. მისი კვლევის საგანი ემთხვევა და აგრძელებს კონცეპტუალისტებისა და მინიმალისტების მიერ II მსოფლიო ომის შემდგომ დაწყებულ მოძრაობას, რომლის მიზანიც ხელოვნების ონტოლოგიის ხელახალი განსაზღვრა იყო.

მეთუ ბარნის პირველი სერია სწორედ სხეულის გაუმჯობესების იდეას ეძღვნება. სერიის სახელწოდებაა „ხატვა წინალობებით“ (Drawing Restraint), რომელიც დღემდე გრძელდება. პირველ ეტაპზე „სპორტულ ხატვას“ გულისხმობდა. სახელოსნოში ბატუტით, მთამსვლელის ეკიპირებით, შტანგებითა თუ ტრენაჟორებით ხატავდა. „ხატვა წინალობებით 2-ში“ (Drawing Restraint 2, 1988) ჭერში დამაგრებულ მცირე ფორმატის ქალაქდზე ნახტომებითა და წინალობებზე ცოცვით ხატავს. ამავე სერიაში შედის მისი პირველ გახმაურებული ვიდეოპერფორმანსი „ხატვა წინალობებით 7“ (Drawing Restraint 7, 1993), რომელიც ვენეციის ბიენალეზე პრიზით აღინიშნა. ვიდეოში სამი სატირი ლიუმინში ზის. მანქანა ნიუ-იორკში მოძრაობს, რა დროსაც სალონში მსხდომები სახურავის დაორთქლილ მინაზე ავტოპორტრეტების დახატვას

ცდილობენ, თან ერთმანეთს ეცილებიან.

სახვითი ხელოვნების მოქმედებაზე დაფუძნებული ნაწილის, როგორცაა ჰეფენინგი/პერფორმანსი და კინოს დაკავშირება მეთუ ბარნის ძიებების ძირითად ხაზად იქცევა. ბარნის შემდეგ სულ უფრო მეტი ავტორი დაფიქრდება პოლიმედიური პერფორმანსების კეთებაზე. მაგალითად, რენაქტმენტი, რომელიც პერფორმანსში 2000 წლებიდან ხდება აქტუალური, კინოსა და ვიზუალური ხელოვნების ახალი მჭიდრო კავშირის მთავარ მიმართულებად იქცევა.

2001 წელს ინგლისელი არტისტი ჯერემი დელერი (Jeremy Deller) აწყობს, 1984 წელს ორგრივში, ინგლისის ისტორიაში მომხდარი ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და სისხლიანი შეტაკების რეკონსტრუქციას, რომელიც მარგარეტ ტეტჩერის (Margaret Thatcher) დრაკონული პოლიტიკის შედეგად გაფიცულ მეშახტეებსა და პოლიციას შორის მოხდა. ტეტჩერი, როგორც ნეოლიბერალიზმის არქიტექტორი, იდეოლოგიური ფანატიზმით ებრძოდა მშრომელთა უფლებების დამცველ ორგანიზაციებს. მრავალი ადამიანის თავისუფლება, ჯანმრთელობა და სიცოცხლე შეეწირა ულტრამემარჯვენე პოლიტიკოსის ახირებას, რომელსაც საკუთარ ქვეყანაში არ სურდა პროფკავშირების ხილვა და მათი სრული განადგურება გადაწყვიტა.¹ ეკონომიკურ ძალადობრივ სისტემას წინ უსწრებდა პოლიტიკური ძალადობის მთელი სერია,² რომელიც 1980-იანი წლების დასაწყისის დიდი ბრიტანეთი მოეცა.³ სწორედ ასეთ პირობებში მოხდა ყველაზე დიდი შეტაკება მეშახტეებსა და პოლიციელებს შორის, რომელსაც თავის დროზე მედია შემდეგი თანმიმდევრობით ამონტაჟებდა: 1. მეშახტეები იღებენ ქვებს, 2. უშენენ პოლიციელებს, 3. პოლიცია იძულებულია, უპასუხოს დემონსტრანტებს და მათი მიმართულებით იძვრება. რა თქმა უნდა, ეს იყო ტყუილი, რასაც ისტორიული წყაროებიც მოწმობენ.⁴

„ორგრივის ბრძოლაში“ (The Battle of Orgreave, 2001) დელერმა ისტორიული სიმართლე აღადგინა, რომელიც შეტაკების მონაწილეთა და ქალაქის მაცხოვრებელთა მოგონებებს ეყრდნობა. რენაქტმენტში ჩართო ისტორიული ბრძოლების რეკონსტ-

1 Crouse, Margaret, 2021.

2 Allsop, Stephenson, Wray, Justice, 2017, pp. 3-7.

3 Hennessey, Hunger, 2014.

4 Conn, Battle, 2014: Savage, Northern, 2022.

რუქციის მოყვარული ჯგუფები და შეტაკების ვეტერანები.⁵ კინოგადაღებებს კი ცნობილი რეჟისორი მაიკ ფიგისი (Mike Figgis) გაუძღვა. ერთად ხელმძღვანელობდნენ კინოში განხორციელებულ ინსტალაციას, რომელიც ერთდროულად ორივე მედიუმში შეიქმნა, თუმცა მხოლოდ ფილმის სახით დარჩა. პერფორმანსულ კინოში კინო არცერთ შემთხვევაში არ უნდა განვიხილოთ როგორც უბრალოდ „დოკუმენტაცია“, ის დამოუკიდებელი მედიუმია, რომელიც პერფორმანსის არათუ ნაწილია, არამედ, შეიძლება ითქვას, მისი მოქმედებისა და არსებობის ადგილიც.

ჯერემი დელერი სოციალური სიურრეალიზმის ერთ-ერთი ცენტრალური წარმომადგენელია, რომელიც რეალობას აბსურდულობისა და გროტესკის გზით იკვლევს. მაგალითად, მისი მომდევნო ფილმი „ჩვენი ჰობია დეფემ მოუდი“ (Our Hobby Is Depeche Mode: The Posters Came from the Walls, 2008), რომელსაც ნიკოლას აბრაჰამსთან (Nicholas Abrahams) ერთად ქმნის, ინგლისური ხმისჩამწერი კომპანია „მიუთის“ (Mute Records) მიერ ჩაფიქრებული იყო, როგორც რიგითი დოკუმენტური ფილმი „დეფემ მოუდზე“ (Depeche Mode). დელერმა და აბრაჰამსმა კი ფილმი ჯგუფის ფანებზე გადაიღეს. რეალობის გადმოცემა შემოვლითი გზით რომ უფრო სწორი და სრულყოფილი სურათის მომცემა – სიურრეალიზმის ახალი ტალღის მიერ ხელახლა გააქტიურდა. სწორედ ახალი ტიპის სიურრეალისტების ჯგუფს განეკუთვნება, უფრო სწორი კი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ამ მოძრაობის სათავეში ექცევა მეთიუ ბარნი, რომელსაც დელერი ზემოხსენებულ ფილმში თითქოს ციტირებს. ერთ-ერთ სცენაში ამერიკული ფეხბურთის სტადიონზე სასულე ორკესტრი ჩნდება, რომელიც „დეფემ მოუდის“ ერთ-ერთი სინგლის ქავერს ასრულებს. ეპიზოდი ძალიან გვაგონებს „კრემასტერ 1-ს“ (Cremaster 1, 1996).

„კრემასტერის ციკლს“ მეთიუ ბარნი 1994 წელს იწყებს და ბოლო სერიას 2002 წელს იღებს, რომელიც გუგენჰაიმის, ლუდვიგისა და პარიზის თანამედროვე ხელოვნების მუზეუმებში მასშტაბური გამოფენებით დაგვირგვინდა. სერია 5 ფილმ-ინსტალაცია-პერფორმანსს მოიცავს, რომლებსაც გამჭოლი გმირი-პერფორმერი აკავშირებს – თავად მეთიუ ბარნი.

სახელწოდება „კრემასტერი“ ადამიანის ანატომიდანაა აღებული. კრემასტერი კაცის სათესლე ჯირკვლის კუნთია, რომელიც ამ ორგანოების მოძრაობაზე პასუხისმგებელი, სხვა სიტყვებით – სათესლეების დაწევა-აწევაზე. ბიოლოგიიდან აღებული ეს ბინალურობა, რომელიც გამოხატავს მექანიკისა და ჩინური ინი და იანის ფილოსოფიის პრინციპებს ადამიანის სხეულში, ორი ძალის, ორი საწყისისა და ორი სამყაროს კავშირსა და ბალანსზე მიგვანიშნებს.

ციკლის პირველი სერია „აწეულ“, მაჟორულ მუხტს ატარებს, უკანასკნელი კი, საკმაოდ შენელებულ, დამდაბლებულსა და მინორულ ენერგიას. თუმცა ბარნი სერიებს თანმიმდევრულად არ გვთავაზობს, ჯერ იწყებს მეოთხე სერიით (1994), შემდეგ იღებს პირველს (1995), მეხუთეს (1997), მეორეს (1999) და მესამე სერიით (2002) ასრულებს.

შუიდან დაწყება მეთიუ ბარნის ბოლომდე ორიგინალური იდეა არ იყო (შეგვიძლია გავიხსენოთ ჯორჯ ლუკასის „ვარსკვლავური ომები“, თუმცა ბარნის მითოლოგიური სამყარო არანაირ წესრიგს არ იცავს, განსხვავებით, ლუკასისგან, რომელიც მეოთხე ეპიზოდით იწყებს, თუმცა შემდეგ იცავს ქრონოლოგიურ თანმიმდევრობას).

სხვა მაგალითების გახსენებისას, ბარნის გარკვეულწილად წინამორბედები მოეძებნება. შეგვიძლია დავასახელოთ ნიუ ავანგარდის ერთ-ერთი საეტაპო ნამუშევარი „ფილმი“ (A Movie, 1958), რომლის რეჟისორიც ბრუს კონერი (Bruce Conner) იყო. ფილმში ავტორის ტიტრის შემდეგ ეკრანზე ჩნდება წარწერა „მეოთხე თავის დასასრული“, რომელსაც ციფრების უკუათვლა მოსდევს, შემდეგ ჩნდება ქალი, რომელიც მალაყელიან წინდებს იხდის და მორიგი წარწერა – „დასასრული“. ფილმში კიდევ ერთხელ გამოჩნდება „ცრუდასასრული“, როგორც ენის ლინეარობისა და ზოგად არასრულყოფილებაზე კონცეპტუალური მინიშნება – „ეს არაა ჩიბუხი“⁶ და „ეს არაა დასასრული“.

ორი საწყისის, ორი ძალის კავშირზე ციკლის რიგით პირველი ფილმი „კრემასტერი 4“. სერია მენის კუნძულზეა (Isle of Man) გადაღებული, რომელზეც 1907 წლიდან მოტორბოლები იმართება. უკანასკნელ წლებში დაიწყო მათი ტელევიზიით ტრანსლა-

5 McCalman, Pickering, 2010, pp. 39-49.

6 Foucault, Pipe, 2008.

ციაც. ვიდეოგამოსახლება ბარნისთვის პირველი „კრემასტერის“ შექმნის ინსპირაციის მიმცემი ხდება. მისთვის მედიუმს უდიდესი მნიშვნელობა აქვს – ამ შემთხვევაში, ვიდეოფორმე აღბეჭდილ სპორტულ რბოლას. გამოყენებულია სამი ფერი, რომლებიც კუნძულის გარემოდან, იქ გავრცელებულ ქსოვილ ტარტანის შეფერილობიდან გამომდინარეობს. ყვითელ ზონას ბარნი „აღმავალ ველს“ უწოდებს, ლურჯს – „დაღმავალ ველს“, მწვანეს კი – „ლოგოთენის ველს“, რომელიც ინსპირირებულია ადგილობრივი ცხვრის ჯიშით „ლოგოთენით“ (Manx Loaghtan – მენში გავრცელებული ცხვრის სახეობა). „ლოგოთენს“ ოთხი რქა აქვს, რაც გამოხატავს ბალანსსა და კავშირს დაღმავალ და აღმავალ ველებს შორის. ასევე შეგვიძლია გავისინოთ პლატონის „ნადიმი“⁷, რომელშიც არისტოფანე აყენებს ანდროგენის თეორიას ორსქესიანი და ოთხკიდურიანი პროტოადამიანების შესახებ, რომლებიც ღმერთებმა ორად გახლიჩეს პროტოადამიანების მოდგმის დასასუსტებლად.

მთლიანი ციკლი სწორედ სქესის ფორმირებას ეძღვნება. ანდროგენების გახლეჩის შედეგად (რომელიც მუცლადმყოფი ბავშვისთვის – სქესის გამოკვეთის სტადიად) არსებული ტკივილი და მთელი ცხოვრება მეორე ნახევართან, მეორე საწყისთან გაერთიანების სურვილი ტკივილსა და სიამოვნებასთან ასოცირდება, რაც ბარნის შემოქმედების ლაიტმოტივია.

ოთხი რქის, ანუ ორი წყვილის მსგავსად „კრემასტერ 4-ში“ გვხვდება ცვილის ვიწრო გასასვლელი, როგორც ორი სივრცის დამაკავშირებელი პორტალი. მასში ელფი მიიკვლევს გზას. ელფს რქები აქვს მოკვეთილი და თმებს სავარცხლით ივარცხნის, რაც ტოტემურის ჰუმანიზაციის სიმბოლურ მნიშვნელობას ატარებს. ცვილის საშოს – შესაძლოა, ნაწლავთან ასოციაციაც გაუჩნდეს მაყურებელს – გავლის სცენა სხვადასხვა სივრცისა და ენერჯის კონტრაპუნქტული მონტაჟითაა გადაწყვეტილი. ინტენსივობის მატება-კლება ფილმის დრამატურგიულ რიტმს განაპირობებს, აგრეთვე ერთგვარ სასპენსს. სივრცეების გაერთიანება, მიზიდულობა და ერთმანეთში შედრევის სურვილი (ამავე დროს, შეუძლებლობაც) „კრემასტერის“ მთავარი კონცეპტუალური ხაზია.

⁷ პლატონი, ნადიმი, 1964.

„კრემასტერი 1“ ყველაზე ნათლად გადმოსცემს ამ ჩანაფიქრს. მასშტაბური ინსტალაცია მოიცავს ამერიკულ საფეხბურთო მოედანსა და მის თავზე მოლივლივ ორ დირიჟაბლს. აღნიშნული სერიაც სპორტულ მაუწყებლობასთანაა დაკავშირებული. ცენტრალური ადგილი ამერიკული ფეხბურთის სტადიონს უჭირავს, რომელიც ვარდისფერ და ლურჯ ფერებშია შეღებილი. ასევე ვარდისფერ კოსტიუმებში არიან გამოწყობილნი მოცეკვავეები, რომლებიც მოედანზე ქორეოგრაფიულ ინსტალაციებს დგამენ.

მოედნის თავზე ორი დირიჟაბლი ლივლივებს სახელწოდებით – Good Year. ხომალდებში მაგიდებია განთავსებული, მაგიდებში კი, ფიგურები – ქალები, უფრო სწორად, ერთი ქალის ორი ვერსია, რომლებიც მაგიდის ზედაპირთან კონტაქტის დამყარებას ცდილობენ. თითოთ გაკეთებული ნახვრეტით ისინი სუფრიდან ყურძენს იპარავენ, შემდეგ ამ ყურძნის მარცვლებს ფეხსაცმლის ძირზე, 1920-იანი წლების ყურმილის მსგავს რქისებრ მილაკში ყრიან, იქიდან კი ყურძენი მოედანზე ცვივა და მოცეკვავეები ადამიანის სასქესო ორგანოების განვითარების სტადიების მსგავს ფორმებს მოედანზე სახავენ.

„კრემასტერი 1“ ერთადერთი სერიაა, რომელშიც ბარნი არ ჩნდება, თუმცა გადმოცემულია მისი ავტობიოგრაფია. სტადიონი აიდაჰოს შტატის იმ ქალაქში მდებარეობს, რომელშიც ბარნიმ ბავშვობა გაატარა. სწორედ ამ მოედანზე ჩნდება კრემასტერის სიმბოლო-ემბლემა – გადახაზული მოედანი, რომელსაც ბარნი სხვა სერიებსა და ნამუშევრებშიც არაერთხელ იყენებს.

ორი სამყაროს კავშირს კიდევ არაერთხელ ვხვდებით ციკლის სხვა ნაწილებში. „კრემასტერ 4-ში“ ცვილის მილის გავლისას, ელფი ხვრელს პოულობს და ხელით სხვა რეალობას ეხება. „კრემასტერ 3-შიც“, ასევე მეთიუ ბარნის მორიგი პერსონაჟი, რომელიც ინდიანა ჯონსსა და მასონური ლოჟის ქვედა საფეხურის შევირდს ჰგავს, ნიუ-იორკის არტ დეკოს არქიტექტურის თვალსაჩინო ცათამბჯენ, უილიამ ვან ალენის „ქრაისლერ ბილდინგის“ ლიფტის შახტში ბაგირებზე მიცოცავს, სანამ მასონების, ანუ კაპიტალისტ-მონარქისტ-ილონ მასკისეულ სამყოფელს არ მიაღწევს. ეს დონე შენობის უკიდურესი ზედა ნა-

წილია. ნაგებობა ყველაზე რთულ წლებში – „დიდი დეპრესიის“ პერიოდში შენდებოდა. საყოველთაო სიღატაკე მდიდრებს არათუ ხელს უშლიდა, არამედ პირიქით, ეს დრო ბევრისთვის უდიდესი კაპიტალის დაგროვებისა და გულზიდვის გამომწვევი ტირაჟირების „ოქროს ხანადაც“ იქცა.

სიღარიბის შემქმნელი სისტემა საკუთარი თავის ლეგიტიმაციისთვის კულტურაში იგონებს მოდელს, რომელიც არდ დეკოს, შემდგომ კი, „კლასიკური ჰოლივუდის“ დროს არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური ლიბერალური წესრიგის შენარჩუნებაზეა ორიენტირებული. და სწორედ ამ სისტემის არქიტექტორების განზომილებაში ხვდება ბარნი/ინდიანა ჯონსი. ინდიანა ჯონსი, კლასიკური ჰოლივუდის ხელახალი რეინკარნაციის მთავარ შემქმნელ სთივენ სპილბერგის, ასევე ჰარი ჰუდინისთან კონტროვერსულ კონტაქტში მყოფი გმირია. სამივეს – ჰუდინის-ინდიანა ჯონსს-ბარნის „გიგანტს“ (რომელიც ბოლო სერიის ფინალში ჩნდება) აერთიანებთ ხიფათიდან თავის დაღწევის უნარი, თუმცა მხოლოდ სხეულის გაუმჯობესებაზე დამყარებული ფორმულით.

ბარნის სამყაროში ფიზიკური ძალა ლენი რიფენშტალისეულ ძალის კულტს მოგვაგონებს. ნაციზმი ძალის ფეტიშიზაციას სილამაზისა და ძალაუფლების შერწყმით ახერხებდა.⁸

ბარნისთან, თუმცა უფრო მეტად „კრემასტერის ციკლის“ მიღმა შექმნილ ნამუშევრებში, როგორცაა „ბრმა შორისი“ (Blind Perineum, 1991), ძალა და სექსუალობა დაკავშირებულია დიდ ფიზიკურ ენერჯიასა და თვითდისციპლინასთან. მისთვის ძალა ინდივიდზე უფრო მნიშვნელოვანია. ამიტომ დეჰუმანიზაცია დეპერსონიფიკაციამდე დაიყვანება.

ანთოლოგიურ და არარეჟისორულ ფილმში „აკრძალული“ (Destricted, 2006), ბარნი სეგმენტში, სახელწოდებით „ამწე“ (Hoist), კაცის სხეულსა და გიგანტურ მანქანას ერთ რკინის კუნსტრუქციად აქცევს. ძალის სასარგებლოდ დეჰუმანიზაციის ეს და სხვა მაგალითები ბარნისთან ფაშიზმის ნიშნების არსებობაზე შეიძლება მიგვანიშნებდნენ, თუმცა ზონტაგის „მომაჯადოებელი ფაშიზმი“, ფაშისტური ხელოვნების განმარტება სხეულისგან სექსუალობის დაცლას გულისხმობს. „ამწეში“ კი მანქანის მბრუნავ ნაწილსა და

მამაკაცის ეროგირებულ სასქესო ორგანოს კონტაქტს ვუყურებთ, რაც სხეულში სექსუალური მუხტის შენარჩუნებაზე მეტყველებს.

ბარნი მდარე გემოვნების გამტარად მარტივად შეიძლება ჩავთვალოთ, თუმცა საკმაოდ ორიგინალური და რთული კონცეფციების წყალობით, მისი შოკისმომგვრელი და გროტესკული ფორმა ენიგმურ თავსატეხად იქცევა.

ყველაზე ნაკლები პრეტენზია სწორედ გემოვნებასთან დაკავშირებით, მის რიგით უკანასკნელ ფილმთან „რედუტი“ (Redoubt, 2019) ჩნდება. დიანასა და აქტეონის მითზე აგებული, კვლავ მშობლიურ აიდაჰოს შტატის მთებში გადაღებული „სრულყოფილი“ ფილმი მგლებზე ნადირობის ძველ ტრადიციასა და შამანური კულტურა/თანამედროვე მეტალურგიის კავშირზე გვიყვება, რომელშიც როგორც მუავით მხატვრობას, ასევე დახვეწილ ქორეოგრაფიას ვხედავთ (ფილმს აქვს გარკვეული ალუზიური კავშირი იოზეფ ბოისის (Joseph Beuys) სამყაროსთანაც).

სერიის მორიგი ფილმი „კრემასტერი 2“, ჰარი ჰუდინისა და მის თითქოს უკანონო შვილიშვილს, სერიულ მკვლელ გერი გილმორს (Gary Gilmore) ეძღვნება. გილმორი ცნობილი გახდა იუტას შტატში დიდხნიანი მორატორიუმის შემდეგ, სიკვდილის დასჯის პრეცედენტით, რაც სასამართლომ 1977 წელს, ორი ადამიანის მკვლელობისთვის მიუსაჯა. სიკვდილმისჯილსა და ილუზიონისტს, როგორც ხელოვანებს, ჯერ კიდევ ენდი უორჰოლი განიხილავდა, რომელიც ასევე აღმერთებდა ჰუდინის და რომელმაც 1971 წელს „ელექტრონული სკამის“ (Electric Chair) სერია შექმნა.

მეთიუ ბარნის კი, ჰუდინისა და გილმორს შორის შეჰყავს, ამ უკანასკნელზე რომანის (The Executioner's Song, ქართულად – „ჯალათის სიმღერა“, 1979) ავტორ ნორმან მეილერის (Norman Mailer) პერსონაჟი, რომელიც ორ თაობას, ორ „არტისტს“ ერთმანეთთან აკავშირებს, ისე, როგორც „კრემასტერის“ მთლიან ციკლში ხდება სხვადასხვა სივრცის, დროისა თუ ცნების გადაბმა.

„კრემასტერ 2-ში“ ავტოგასამართ სადგურზე მოწყობილია ინსტალაცია, რომელშიც ორი, ერთმანეთთან პორტალით დაკავშირებული მანქანაა წარმოდგენილი. ერთ-ერთ ობიექტში „იბადება“ გილმო-

8 Sontag, Saturn, 1981, pp. 73-109; ასევე იხ.: Reeves, Propaganda, 2003, pp. 105-111.

რი, იმოსება და ხელში იარაღმომარჯვებული, შენობაში შედის „პერფორმანსის“ მოსაწყობად.

გილმორი მორმონი იყო, მისი მსხვერპლებიც – ავტოგასამართი სადგურის თანამშრომელი – მორმონები. სერიაში ჩნდება მორმონების ეკლესიაც, როგორც პირველი „ამერიკული რელიგიის“ გახსენება. ამერიკანიზმის ფესვების კვლევა და ამერიკული მითოლოგიის გამოგონება, პირადი მითოლოგიის ფორმირებასთან ერთად, ამ სერიისა და ზოგადად ციკლის მნიშვნელოვანი ხაზია. როგორც ცნობილია, გილმორმა არ მოითხოვა აპელაცია, მისი ერთადერთი სურვილი ქანთრისა და როკის ვარსკვლავ ჯონი ქეშთან სატელეფონო საუბარი იყო. ფილმში ამერიკული მუსიკალური მითოლოგიის ავტორი ქეში თითქოს განზრახა ცუდი პანკით ჩანაცვლებული. შემდეგი ნაწილი სიკვდილით დასჯის ეპიზოდია, ალმოდოვარის კინის სტილისტიკასთან ახლოს მდგომი გადაწყვეტით.

„კრემასტერი 5“ ციკლის უკანასკნელი სერიაა, რომელიც უნგრულ ენაზე შექმნილ, ხუთაქტიან ოპერას წარმოადგენს. ოპერის, ისევე როგორც მთლიანად ციკლის მუსიკის ავტორია ჯონათან ბეფლერი, რომელთანაც ბარნი ყველა ფილმზე თანამშრომლობდა. გადაღებები ბუდაპეშტის ოპერაში მიმდინარეობდა. ცენტრალური პერსონაჟია ურსულა ანდრესის (Ursula Andress) შესრულებული „ჭაჭვების დედოფალი“ და თავად ბარნის მიერ განსახიერებული სამი გმირი: „დივა“, „ჯადოსანი“ და „გიგანტი“. ჭაჭვების დედოფალი სატრფოსთან განშორებას განიცდის, ანუ „ჯადოსანთან“. ბარნის გმირი კვლავ ჰუდინიზე მიგვანიშნებს, რომელიც ბუდაპეშტში, 1874 წელს დაიბადა. სწორედ ამით არის განპირობებული სერიის ლოკაცია. „დივა“ დედოფლის წინ, სცენის გარშემო რთულ აკრობატულ ილეთებს ატარებს, ცოცავს კედლებზე, რა დროსაც წყდება და იატაკზე ეცემა. მისგან ვარდისფერი სითხე რჩება. ბოლოს კი ჩნდება „გიგანტი“, რომელიც მითოლოგიურ, ალორძინების ხანის პერსონაჟს გვაგონებს.

კრემასტერის ციკლის ქრონოლოგიურად დასკვნითი ნაწილი – „კრემასტერ 3“, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება, ეძღვნება პერფორმანსის ხელოვნებას, როგორც ასეთს, საგამოფენო სივრცისა და სამუზეუმო ინსტიტუციების გააზრებას, რაც ომისშემდგომი ხელოვნების ერთ-ერთი უმთავრესი მიმარ-

თულება გახდა.

ხელოვნების საზღვრების გადათამაშებასთან ერთად არტისტებმა დაიწყეს ხელოვნების საარსებო სივრცის დეტერმინება, მათ შორის, ინსტიტუციური კრიტიკის გზით. კონცეპტუალურ ხელოვნებასთან ერთად ხელოვნების ახალ მოდელებზე მუშაობდნენ მინიმალისტებიც. „კრემასტერ 3-ში“ ეპიზოდურ როლში ჩნდება მინიმალისტი და ლენდარტის უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელი ამერიკელი არტისტი რიჩარდ სერა (Richard Serra).

იგი გრანდიოზული სკულპტურის ერთ-ერთ ფუძემდებლად ითვლება, რომელმაც ქანდაკება არქიტექტურის მასშტაბებთან მიაახლოვა. მის შემოქმედებაში ვიზიონერიზმი ჩანაცვლებულია განცდით, რომელიც გადაადგილებით, ანუ მოძრაობით იბადება. მნახველი სკულპტურაში ხვდება, თუმცა მისი მთლიანი აღქმისთვის საჭიროა დაკავებული ტერიტორიის მთლიანად გავლა და შეგრძნება. ზუსტად მსგავსი ცვლილებები შეაქვს მეტიუ ბარნის კინოსა და პერფორმანსში. მაგალითად, ამ სერიაში ის გაივლის გუგენჰაიმის მუზეუმის ცნობილ სპირალურ კიბეს, უფრო სწორად, იწყებს სვლა-ცოცვას და სხვადასხვა წინააღობის გადალახვას.

მინიმალისტი სერა პერფორმანსების ავტორიც იყო. მისი ყველაზე ცნობილი აქცია 1968 წელს მოეწყო, როდესაც საგამოფენო სივრცეში სპეციალურ ტანსაცმელში გამოწყობილი გავარგარებულ ტყვიას აშხეფებდა. პერფორმანს „სხურება“ ეწოდა (Splashing, 1968). მალევე სერა ექსპერიმენტულ კინოში ინაცვლებს და იწყებს საკმაოდ გრძელი ქრონომეტრაჟის ვიდეოარტის კეთებას.

სერა მინიმალისტურ ლენდარტში აბრუნებს ევროპული ქანდაკების მთავარ ფიგურას – ადამიანის სხეულს. მნახველი იქცევა ხელოვნების ობიექტად, რომელიც დიდ სივრცეებზე გადაჭიმულ ინსტალაციებსა და სკულპტურებს მათში გადაადგილებით აღიქვამს. ბარნის პერფორმერი-გმირი საკუთარი სხეულით „ზომავს“ სივრცეს და ასე იძენს გამოცდილებას.

კრემასტერის ციკლის სიმბოლოს პარალელურად, ბარნი უფრო ძველ ლოგოს იყენებდა, რომელიც 1991 წლით თარიღდება. ბარნიმ ორი ნული „00“ პირველ ციკლში „ოტო ტრილოგიაში“ (OTTO Trilogy, 1991-2) გამოიყენა, „რომელიც აერთიანებდა სხეულის შიგთავსს სათამაშო მოედნის არქიტექტურასა

და აფეთქების ისტორიის ნარატიულ რკალს⁹. როგორც ბარნის კურატორი და მკვლევარი ნენსი სპექტორი (Nancy Spector) „ოტო ტრილოგიაზე“ წერს, „ეს არის ხელუხლებელი და ჰერმეტიული სისტემა, რომელიც საზრდოობს იმპულსსა და თავშეკავებას, ამკარა სურვილსა და კონტროლს შორის არსებული დაძაბულობით“¹⁰. ორობითი სისტემა, ორი ძალის დაპირისპირება და მათ შორის ბალანსის მოძებნა მეთუ ბარნის შემოქმედების მთავარი ხაზი ხდება და შეიძლება ითქვას, აბსოლუტურად ყველა ნამუშევარში იჩენს თავს.¹¹

პერფორმანსში არტისტის სხეული ხელოვნების ობიექტს, საგამოფენო სივრცესა და ინსტიტუციას ერთდროულად წარმოადგენს. ამის გააზრება თეორიაში თანდათან ხდება. კრის ბორდენის, მარინა აბრამოვიჩისა (Marina Abramović) თუ იოზეფ ბოისის სხეულის გამოცდით ჩატარებული აქციები სწორედ არტისტის ახალ კონცეფციას გვთავაზობენ, რომელშიც შემოქმედი და შემოქმედება ერთ სუბსტანციაში, ერთ ობიექტშია მოქცეული – ადამიანის სხეულში და გამოცდილებაში, რომელსაც ეს სხეული ქმნის ან იძენს.

„გვიფრობ, ყველა ეს პერსონაჟი ფიზიკური მდგომარეობაა, ვიდრე განვითარებადი ნარატიული გმირი. მეილერის მსგავსად, სხვებიც ასახიერებენ იმას, რისიც სწამთ. პერსონაჟებისა და იმიჯების მიმართ, რომლებსაც გული მიმიწევს, რომლებსაც, როგორც წესი, აქვთ მძიმე ფიზიკური ფორმა“¹² – ამბობს მეთუ ბარნი.

ხელოვნების ფუნქციის დეტერმინება ადამიანში კულტურის ახალ კონცეფციას ამკვიდრებს, რომელიც, ბარნისა და სხვა არტისტების მიხედვით თუ ვიძახვლებთ, საკმაოდ ძველია. ადამიანის უკიდურესი ინდივიდუალიზაცია არახალია ბაროკოს პერიოდის დასავლეთისთვის. ადამიანი, როგორც სამყაროს და კულტურის პოტენციური ტურტელი, რომელსაც მუდამ შრომა და განახლება, სრულყოფა სჭირდება, დასავლური კაპიტალისტური ცნობიერების მთავარი კრედილა.

ბარნის ანდროცენტრულ პერსპექტივაში ადამიანის ბიოლოგიას სრულყოფილებამდე ვერ მივყავართ და საჭიროა დამატებითი გაუმჯობესებები. ინდივიდის ფორმირების თუმცა კულტურის პერსპექტივიდან საკითხებს იკვლევს გერმანელ რეჟისორ ვერნერ ჰერცოგი. „ახალი გერმანული კინოს“ წარმომადგენელი ანტიფაშისტი ხელოვანი მიიჩნევს, რომ დასავლური კულტურა ექსპლუატაციით, სხვისი ინტერესების უგულებელყოფითა და პარაზიტობით ჩამოყალიბდა.

ჰერცოგის ერთ-ერთი საუკეთესო ფილმი „ყველა თავისთვის, ღმერთი კი ყველას წინააღმდეგ“ (Jeder für sich und Gott gegen alle, 1974), ბუნებრივი ადამიანის სამყაროდან ანუ ბუნებიდან კულტურულ, განვითარებულ არსებად ჩამოყალიბების წინაპირობად „ყველას ომს ყველას წინააღმდეგ“ დასრულებაში ხედავს, მაგრამ ჰერცოგის აზრით, თავად კულტურასაც ძალადობრივი ბუნება აქვს. „კრემასტერ 4-ში“ რქებმოკვეთილი და ჰუმანიზებული სატირი/ლოკტენი შეესაბამება ჰერცოგის კასპერ ჰაუზერს – კულტურულ სივრცეში არსაიდან გამოჩენილ არაცივილური ადამიანის ისტორიულ და ანთროპოლოგიურ სიმბოლოს. თუმცა ჰერცოგისგან განსხვავებით, მეთუ ბარნის პერსონაჟზე კულტურა „გარედან“ არ ძალადობს, არამედ მას თავად სურს „გაკეთილშობილება“, რისთვისაც რქებს იკვეთს, მოკვეთილ ადგილებს დავარცხნილი თმით იფარავს და პიჯაკითა და შარვალით იმოსება.

„კრემასტერ 4-ში“ რქებმოკვეთილი და ჰუმანიზებული სატირი/ლოკტენი შეესაბამება ჰერცოგის კასპერ ჰაუზერს – კულტურულ სივრცეში არსაიდან გამოჩენილ არაცივილური ადამიანის ისტორიულ და ანთროპოლოგიურ სიმბოლოს. თუმცა ჰერცოგისგან განსხვავებით, მეთუ ბარნისთან ძალის გამოყენება არა გარედან, არამედ შიგნიდან ხდება – პერსონაჟებს თავად სურთ „გაუმჯობესება“.

ნენსი სპექტორი პერფორმერს ახასიათებს, როგორც „საკუთარ თავში ჩაკეტილ ორგანიზმს, როგორც ნარცისისტული სიამოვნების მიღების ინსტრუ-

9 Barney, Nelson, 2016, p. 13.

10 იქვე Barney, Nelson, Spector, OTTO, 2016, p. 13.

11 „ოტო ტრილოგიის“ სიმბოლო ორი ნული, აღებულია ამერიკული ფეხბურთის ვარსკვლავ ჯიმ ოტოს მაისურიდან. მეთუ ბარნი მას განმარტავს, როგორც „ტყუპ მოხეტიალე რექტუმებს“ („twin roving rectum“, იხ. Barney, Nelson, Spector, OTTO, 2016, p. 19).

12 Lingwood, Obrist, 2002.

მენტს. ამ გამოცდილებას XX საუკუნის ხელოვნების ისტორიაში საკუთარი ადგილი აქვს, რომელიც გამოხატულია მარსელ დიუშანის „პატარძალი გააშიშვლეს საკუთარმა თაყვანისმცემლებმა, აგრეთვე“ (La mariée mise à nu par ses célibataires, même, 1915–23)¹³.

„ოტტო ტრილოგიაში“ ბარნი ორ გმირს, მაშასადამე ორ საწყისს – ქაოტურ და მოუთვინიერებელ ამერიკელ ფეხბურთელ ჯიმ ოტოსა (Jim Otto) და უკიდურესად დისციპლინირებულ ილუზიონისტ ჰარი ჰუდინის აპირისპირებს. „კრემასტერის ციკლშიც“ კვლავ უბრუნდება წყვილ გმირებსა და პერსონაჟებს, რომლებსაც პარალელური მონტაჟითა და თხრობით აკავშირებს.

ორი ენერჯის ურთიერთობაში კინოს თეორია და კინოს გამომსახველობითი ხერხები იმაზე დიდ როლს თამაშობენ, ვიდრე ამას პერფორმანსის დოკუმენტაცია შეიძლება მოიცავდეს. სწორედ ამიტომ, ბარნის შემთხვევაში, საქმე გვაქვს მულტიმედიუმურ ხელოვნებასთან, რომელშიც კინო წამყვან პოზიციას იკავებს, ვიდრე ამას ვიზუალური ხელოვნების სხვა წარმომადგენლები აცნობიერებდნენ, იგივე, ვიტო აკონჩი (Vito Acconci), ბრუს ნაუმანი, თუ უკვე ნახსენები სხვა არტისტები.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სახვით და აუდიო-ვიზუალურ ხელოვნებაში მორიგი ტრანს-

ფორმაციის წინაშე ვართ, რომელიც უკრაინის ომისა და კორონავირუსის დასრულებასთან ერთად დასრულდება. ეს მოვლენები თითქოს ისეთივე წყალგამყოფია, როგორც ორი მსოფლიო ომი იყო. საყოველთაო კატაკლიზმები წერტილს სვამენ ძველზე და სათავეს უდებენ ახალს.

როგორც წესი, ამა თუ იმ კატასტროფის გამომწვევ მიზეზად სწორედ ძველი სამყაროს სააზროვნო და კულტურული ნორმები მიიჩნევა. მეთუ ბარნის მომზადებული რეგოლუცია კიდევ უფრო აქტუალური მომდევნო წლებში გახდება. მით უფრო, სულ უფრო იზრდება ისეთი არტისტების რიცხვი, რომლებიც სახვითი ხელოვნებიდან არა ვიდეოარტში, არამედ კინოს მედიუმში ინაცვლებენ. მაგალითად, დანიელი არტისტი თეოდორ ნიმარკი (Theodor Nymark) ქმნის მოკლემეტრაჟიან ფილმ-ტილოს „თვალწარმტაც მხეცს“ (Det Pittoreske Bæst, 2021), აგრეთვე გერმანელი ქორეოგრაფი საშა ვალცი (Sasha Waltz) საკუთარ ბალეტებს კინოში „დგამს“ და იყენებს ისეთ, მხოლოდ კინოსთვის უნიკალურ მეთოდებს, როგორებიცაა სუბიექტური კამერა, ახლო ხედი, პარალელური მონტაჟი, გადაფარვები და სხვა. კინობალეტები, კინოტილოების მსგავსად, მხოლოდ კინოში არსებობენ, რაოდენ იდენტური ეკვივალენტებიც უნდა იქმნებოდეს საგამოფენო სივრცეებში თუ სცენებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- პლატონი, ნადიმი, თბილისი, 1964.
- Allsop D., Stephenson C., Wray D., Justice Denied: Friends, Foes & the Miners’ Strike, Balbriggan, 2017.
- Barney M., Nelson M., Spector N., OTTO Trilogy, New Yourk and Brusselsy, 2016.
- Conn D., Tell Us the Truth About the Battle of Orgreave, The Guardian, 14 Nov., 2014. <https://www.theguardian.com/commentisfree/2014/nov/14/battle-orgreave-policing-1984-85-miners-strike-britain-ipcc>.
- Crouse R. E., Margaret Thatcher’s Case Against Democratic Socialism and Keynesian Economics, London, 2021.
- Foucault M., This Is Not a Pipe, California, 2008.
- Hennessey T., Hunger Strike: Margaret Thatcher’s Battle with the IRA, 1980–1981, Kildare, 2014.
- Lingwood J., Obrist H. U., Artist project: Matthew Barney, TATE, 1 Dec., 2002. <https://www.tate.org.uk/art/artists/matthew-barney-2362/artist-project-matthew-barney>.
- McCalman I., Pickering A. P., Historical Reenactment: From Realism to the Affective Turn, London, 2010.
- Savage J. R., Northern Ireland, the BBC, and Censorship in Thatcher’s Britain, Oxford, 2022.
- Sontag S., Under the Sign of Saturn, New York, 1981.
- Reeves N., Power of Film Propaganda, London, New York, 2003.

13 იქვე, Lingwood, Obrist, 2002, p. 14.

CHALLENGES FOR CINEMA AND PERFORMANCE ON BEHALF OF MATTHEW BARNEY

Giorgi Razmadze

Keywords: performance, reenactment, performance documentation, “cremaster cycle”

American artist Matthew Barney was originally an artist and performer, but soon shifted into the video art medium. His transaction was not a farewell to any field, Barney created most of the installations or performances in real time and space, but in a video/movie setting. He was not the first to do so, although the scale and intensity of his work in the visual arts raised the crucial issue, first and foremost, the boundaries of cinema, visual arts and performance, and therefore the rethinking of these mediums in the modern context.

Matthew Barney’s “Cremaster” cycle is a mega performance that exists and is experienced only in a video art environment. His subsequent projects are also dedicated to defining the boundaries of art. For the time being, the latest work “Redout” (2019), unlike the previous works, is very close to cinema and is defined as non-narrative cinema, in which performance is no longer found in its purest form. The film based on the myth of Diana and Actaeon is a challenge both in terms of understanding the new possibilities of cinema, as well as in terms of exploring ways of remediation of performance, choreography, painting and installation.

Performance art has been reborn since the late 1960s, although already as an independent art direction.

